2013-2014 სასწავლო წლისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე მიღების გამოცხადების, რეგისტრაციის ვადებისა და პროცედურის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 49-ე მუხლის პირველი პუნქტის, 56-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 6 ნოემბრის №235/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის მეორე პუნქტის, აკადემიური საბჭოს მიერ 2010 წლის 26 ივლისის №43 სხდომის ოქმით დამტკიცებული უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების საფუძველზე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის საბჭოს 2013 წლის 19 ივლისის სხდომის №9 ოქმის და საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის 2013 წლის 22 ივლისის №03-11284/13 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს მიღება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის შემდეგ სადოქტორო პროგრამებზე:

ა) დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების პროგრამა (გეოლოგია, გეოფიზიკა, გეოგრაფია, არქეოლოგია) – 3 ადგილი.

ბ) ფიზიკისა და ასტრონომიის სადოქტორო პროგრამა (ელემანტარულ ნაწილაკთა ფიზიკა და კოსმოლოგია; კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკა, თეორიული ასტროფიზიკა; ასტრონომია და ასტროფიზიკა; კოსმოლოგია; მზის ფიზიკა; ატმოსფეროსა და იონოსფეროს ფიზიკა; ბიოფიზიკა; კულტურული ასტრონომია და არქეოასტრონომია) – 3 ადგილი.

2.2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტის დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებმა 2013 წლის 1 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, 10:00 საათიდან 18:00 საათამდე, (ქაქუცა ჩოლოყაშვილის გამზ. ოთახი E406, პასუხისმგებელი პირი – ანა ბერძენიშვილი) უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) სააპლიკაციო ფორმა (ივსება ადგილზე).

ბ) პირადობის მოწმობა;

გ) აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი ან ცნობა ხარისხის მინიჭების შესახებ, თუ დიპლომი ჯერ გაცემული არა არის.

დ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ე) იმ შემთხვევაში თუ სწავლის გაგრძელების მსურველს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტთან - დიპლომთან ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

3. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის გაგრძელების მსურველებს, გარდა ამ ბრძანების მეოთხე პუნქტით გათვალისწინებული პირებისა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს რეგისტრაცია, წერილობითი გამოცდა ინგლისურ ენაში ჩაუტარდებათ 2013 წლის 16 სექტემბერს.

4. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომლებიც რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადატურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს და ასევე ის პირები, რომლებსაც ინგლისურ ენაზე აქვთ გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში ან/და ამერიკის შეერთებულ შტატებში და რეგისტრაციის დროს წარმოადგენენ შესაბამის დოკუმენტაციას.

5.ინგლისური ენის წერილობითი გამოცდის შედეგების გამოქვეყნების ბოლო ვადად განისაზღვროს 2013 წლის 19 სექტემბერს.

6.იმ კანდიდატთათვის, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ინგლისური ენის გამოცდა, გასაუბრება ჩატარდეს 2013 წლის 20 სექტემბრიდან 27 სექტემბრის ჩათვლით. (მის: ნუცუბიძის 77, ოთახი 217)

7.გასაუბრების შედეგები გამოქვეყნდეს 2013 წლის 28–29 სექტემბერს.

8.დოქტორანტობის კანდიდატმა საპრეტენზიო განაცხადი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოცდის შედეგების შესახებ უნდა წარადგინოს 2013 წლის 30 სექტემბრიდან 1 ოქტომბრის ჩათვლით მისამართზე: ნუცუბიძის 77, ოთახი 201.

9.ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტს დაევალოს 2013 წლის 2 ოქტომბერს ჩასარიცხ კანდიდატთა საბოლოო სია, აპელაციის შედეგების გათვალისწინებით, განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

10.გასაუბრების შედეგად გამოვლენილი წარმატებული კანდიდატები უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელების სურვილის დასადასტურებლად და ხელშეკრულების გასაფორმებლად უნდა გამოცხადნენ საინჟინრო ფაკულტეტზე (მის: ნუცუბიძის 77, ოთახი –201), 10.00 საათიდან 18.00 საათამდე, 2013 წლის 3 ოქტომბრიდან 10 ოქტომბრის ჩათვლით (შაბათ–კვირის გარდა) და თან უნდა იქონიონ შემდეგი საბუთები:

ა) პირადობის მოწმობა, ან პასპორტი - ორიგინალი;

ბ)აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი- ორიგინალი ან აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა მაგისტრის ხარისხის მინიჭების შესახებ (თუ დიპლომი ჯერ გაცემული არ არის) - ორიგინალი;

გ) ინგლისური ენის ცოდნის არანაკლებ B2 დონის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატი - ორიგინალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასევე იმ პირებმა, რომლებსაც ინგლისურ ენაზე აქვთ გავლილი ბაკალავრიატის და/ან მაგისტრატურის სრული ან არასრული კურსი ევროპაში ან/და ამერიკის შეერთებულ შტატებში უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის ორიგინალები.

დ) იმ შემთხვევაში თუ სწავლის გაგრძელების მსურველს მაგისტრატურის საფეხური დამთავრებული აქვს საქართველოს ფარგლებს გარეთ, შესაბამისი ხარისხის დამადასტურებლ დოკუმენტთან - დიპლომთან (ორიგინალი) ერთად უნდა წარმოადგინოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი(ორიგინალი)- უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ.

11.საინჟინრო ფაკულტეტს დაევალოს 2013 წლის 11 ოქტომბერს მიაწოდოს რექტორს იმ პირების სია, რომელთაც გააფორმეს ხელშეკრულება მათი ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოსაცემად.

12. ჩარიცხული კანდიდატების სია გამოქვეყნდეს 2013 წლის 11 ოქტომბერს.

13. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის საჯარო წესით გაცნობა.

14. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

15. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები საინჟინრო ფაკულტეტს, სამდივნოს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

რექტორი **გიგი თევზაძე**